წელიწადი მეორე | ფასი 10 კაპ. | კვირა, 18 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 283

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი ... ღირს ... კვადრატულ სანტიმეტრზე—10 კ., კავკასიაში ... დებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ. წელიწადი მესამე **„საქართველო“** 1917 წ. წელიწადი მესამე

## ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

**გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:**

ავ. აბესაძე, ი. აბულაძე, დ. არონიშიძე, ა. ახათიანი, ალ. ახმეტელი, ვ. ბარნოვი, ეკ. გაბაშვილისა, რ. გაბაშვილი, განდეგილი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, გ. გორდეზიანი, ვ. გუნია, შალვა დადიანი, ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ეკ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, პ. ინგოროყვა, ჩ. კაპანაძე, პოლ. კარბელაშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, დ. კასრაძე, დ. კახელი, ს. კედია, დეკ. კ. კეკელიძე, ნ. კურდღელაშვილი, Legatus, ეპისკოპოსი ლეონიდე, იას. ლორთქიფანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. მაჭავარიანი, დუტუ მეგრელი, მელანია, შ. მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. ჟორდანია, გრ. რობაქიძე, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე, შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანისა, სვ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, მიხ. შალამბერიძე, ვ. შალიკაშვილი, პროფ. ა. ცაგარელი, აპ. წულაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, სტეფ. ჭრელაშვილი, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა

---

კვირას, 18 ქრისტეშობისთვეს, დილის 10 საათზედ დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**ალექსანდრე თევდორეს ძის**

**ყიფშიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძმები: გრიგოლ, ზაქარია და ილია (კოლ-შვილით და დები: ევდუქსია ნადირაძისა, მარიამ სონღულაშვილისა და ბარბარე ავალიშვილისა

(2—307—2)

---

კვირას, 18 ქრისტეშობისთვეს დილის 10 საათზე, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**ალექსანდრე თევდორეს ძის**

**ყიფშიძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ბარბარე (იგივე სოფიო) თევდორეს ასული და ივანე გიორგის ძე ავალიშვილები.

(1—438—1)

---

დღეს, 18 ქრისტეშობისთვეს, ნავთლუღში წმ. ბარბალეს ეკლესიაში

**ანდრია საბას ძე**

**ქაქუთიას**

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი, რასაც ნათესავთ და ნაცნობთ აუწყებენ: მეუღლე მიცვალებულისა ნატალია ზაალის ასული ქაქუთიასი, ასულნი: თებრონე, ნინო, მარიამი, თამარა და შვილის შვილი ნილი.

---

განუსაზღვრელის მწუხარებით გულ-დაჩაგრულნი დედ-მამა თ-დი ლენტორ დავითის ძე და მარიამ ივანეს ასული ლორთქიფანიძენი ნათესავებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ოსმალეთის ფრონტზე ავადგამხდარ, ალექსანდროპოლის ლაზარეთში გარდაცვალებულის და იმავე ქალაქში 6 ნოემბერს დაკრძალულ

**ვლადიმერ ლენტორის ძის**

**ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად საორმოცო წირვი და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 18 დეკემბერს, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

(2—434—2)

---

შვილი, ასული და სიძე განსვენებულის

**ივანე დავითის ძის**

**უთნელიშვილისა**

ამით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ საორმოცო წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება კვირას, ქრისტეშობისთვის 18, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი ნაშუადღევის 1 ს.

(1—436—1)

---

განცხადება

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

**ქართული კედლის**

**კალენდარი**

ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქუთაისში.

✦ ფასი ოთხ... აბაზი ✦

(5—294—5)

---

## თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ქ. თბილისის მცხოვრებთ, რომ, თანახმად თბ. ქალაქის გამგეობის ამა წლის ნოემბრის 28 დადგენილებისა, თბილისის გუბერნატორის მიერ ქრისტეშობისთვის 12-ს დამტკიცებულისა, ქრისტეშობისთვის 18-დან შემოღებულ იქმნება შემდეგი ახალი სასტანციო

**შაურიანი** საპასაჟირო ტარიფი.

ერევნის მოედნიდან — ზემელის აფთიაქამდე.
ზემელის აფთიაქიდან — ვოკზლამდე (მუშტაიდზე ანუ პიროგოვის ქუჩაზე გავლით).
„ „ — ოლგის ქუჩის ბოლომდე.
„ „ — წყნეთის „ „
ერევნის მოედნიდან — ვორონცოვის ძეგლამდე.
ვორონცოვის ძეგლიდან— ვოკზლამდე (მიხეილის პროსპექტზე ან ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გავლით).
ერევნის მოედნიდან — ამაღლების ხაზის ბოლომდე.
„ „ — კახეთის მოედნამდე.
კახეთის მოედნიდან — სამხედრო გოსპიტლამდე.
სამხედრო გოსპიტლიდან—ძველ საყასბომდე.
ვოკზლიდან — ნიკოლოზის მოედნამდე.
ნიკოლოზის მოედნიდან— კახეთის მოედნამდე.
ვორონცოვის ძეგლიდან— რიყემდე.
რიყიდან — საგუბერნიო ციხემდე.
ამიერ-კავკ. რკ. გზის სამ.—დიდუბის ეკლესიამდე.
ზემელის აფთიაქიდან — კირკის (კიროჩნი) ქუჩის და მიხეილის პროსპექტის კუთხემდე აგრეთვე შაური.

**დამატებითს გაგონებზე:**

ავჭალის აუდიტორიიდან—ლოტკის გორამდე 3 კაპ.

სააბონიმენტო წიგნაკები მანეთ და ათ შაურიანები ოცდა ათ გზისა ერთის თვის ვადით სადგურებზე იყიდება.

გადასაჯდომი ბილეთები უქმდება; წლიური ბილეთები იყიდება ტრამვაის კანტორაში 120 მანეთად. ამასთან, ყველა წლიური ბილეთები მიცემული იქნება 1918 წლის იამვრამდე, ისეთის ანგარიშით, რომ ყოველ ნაკლებ თთვისათვის გამოაკლდება თითო თუმანი.

(2—302—2)

---

## ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს ბ-ნ წევრთ:

ამა წლის 18 ქრისტეშობისთვეს, კვირას, ნაშუადღევის 1 საათზე, ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია

**საზოგადო კრების**

**გაგრძელება**

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის წლიური ანგარიში და მოხსენება.
2) პენსიონერთა საკითხი.
3) გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

(1-309-1)

---

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა.

## ნ. ბარათაშვილის ლექსები

და

## წერილები სრული აკადემიური გამოცემა სურათებით

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა.

წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალი ავტოგრაფით.

სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლასხიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.

**წიგნის ფასია ხელის მოწერით სამ მანეთ ნახევარი (3—50)**

სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება 5 მან.

✦ წიგნი გამოვა 1917 წლ. აპრილში. ✦

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში**—წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სახალხო ფურცლის“ კანტორაში; **ქუთაისში**—ის. კვიცარიძესთან, იას. ბაქრაძესთან და პ. ყიფიანთან; **ბათომში**—სიმ. მდივანთან და კოტე კობახიძესთან; **ფოთში**—ლ. ჯაფარიძესთან; **სამტრედიაში**—ის. სტურუასთან; **ხონში**—მოს. ქელიძესთან; **სოხუმში**—პლ. გელოვანთან; **თელავში**—ივ. პაატაშვილთან; **გორში**—სიმონ მაჭავარიანთან. **ჭიათურაში**—თ. ჯაფარიძესთან. **საჩხერეში**—ანეტა იურკევიჩთან. **ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: თბილისი. „სახალხო ფურცელი“.**

(კვ.—257—5)

---

## ახალი კლუბი

### ერთი კვირის პროგრამა

19 ქრისტეშობისთვიდან 1916 წ.

ორშაბათს

**ოპერეტა**

ბილეთები 1 მ. 70 კ.—50 კ.-დე.

სამშაბათს

**კონცერტი**

„კ ა ბ ა რ ე“

დაწვრილებით აფიშებში.

ოთხშაბათს

**სალამო**

**პოეტ ფაშალიშვილისა.**

ხუთშაბათს

**ქართული წარმოდგენა**

პარასკევს

**ოპერეტა**

ბილეთები 1 მ. 70 კ.—50 კ.-დე.

შაბათს

**უქმის გამო გასართობი არ იქნება.**

კვირას

**კლუბი დაკეტილია**

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. „ 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა „ 8½ საათზე.

სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან., მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.

(1—301—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სახალხო სახლი

ორშაბათს, 19 ქრისტეშობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ჰერჰარტ ჰაუპტმანის პიესა

# დაძირული ზარი

დრ. ზღაპარი 5 მოქ. თარგმ. ი. მაჭავარიანისა.

**უმთავრეს როლებს შეასრულებენ:** ტ. აბაშიძე—„რაუტენდლეინ", ვ. გამყრელიძე—„წყლის ბერი", გ. იმხნელი—„ჰენრიხ", ი. ზარდალიშვილი—„პასტორი", ნ. გვარაძე—„ქაჯი", ნ. დავითაშვილი—„მაგდა", ნ. ჯავახიშვილი—„ვიტისა". პიესაში მონაწილეობენ „ალნი" და „ქონდრის კაცები".

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქიქოძე, ჭილარჯიშვილი, შოთაძე, ჯავახიშვილი, მჭედლიშვილი, მაჭავარიანი, ბ-ნნი იმხნელი, ბარველი, გამყრელიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.

ადგილების ფასი 170 კ.—20 კ.-დე. ✦ ✦ დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

(3—303—3)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)

კვირას, 18 ქრისტეშობისთვეს,

# სიმებიანი ორკესტრის კონცერტი

კონცერტზე შესვლა უფასოა ✦ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

სტუმრები საზოგადო წესით.

ორშაბათს, 19 ქრისტეშობისთვეს

## სიმებიანი ორკესტრი, სინამატოგრაფი.

(1—312—1)

## ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს ამავე კლუბის წევრთ, რომ კვირას, 18-ს ამა დეკემბერს, დილის 12 საათზედ, დანიშნულია წევრთა

# საგანგებო კრება

განსახილველია: მიმდინარე კითხვები და მუდმივ მოსიარულეთა არჩევნები.

(1—311—1)

## ვეძებ ოთახს

ერთს, ან ორს საჭირო მოწყობილებით. გთხოვთ მოაკითხოთ „საქართველოს" რედაქციაში.

(5-308-1)

ექიმი

## ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი,** სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჰრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

**ერლიხის „914" და „606"**

**შეშხაპუნება**

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

## მ. ი. ვაჩნაძე

**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ—202—)

ექიმი

## პ. ი. გვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან**

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი

## მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

ექიმმა

## გ. მ. მუხაძემ

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.


## საქართველოს პური უნდა!

ვსწერთ, ვლაპარაკობთ, ვყვირით, რომ ქართველ ხალხს ჰშიან, პური არ აქვსო. მაგრამ ყველაფერი ამაოდ რჩება. ქართველი საზოგადოება მოქმედების ფხასა და უნარს ვერ იჩენს და არხეინად შეჰყურებს ქვეყნის ამბებს და დიადი სანახაობებით თავს ირთობს! ვიცით, რომ სხვისი არც ლხინი შეგვიმსუბუქებს მდგომარეობას და, მიტ უმეტეს, არც ჭირი! მაგრამ ცოდნა სხვაა და საქმე, მოქმედება კიდევ—სხვა! ყოველის მხრიდან ცნობები მოდის საკვებისა სიძვირესა თუ ნაკლებობაზე. ფუთი სიმინდი 4 მანეთად ფასობს! ყველაფერი იმას გვეუბნება, რომ მდგომარეობა შემდეგში ბევრად უფრო გაუარესდება.

სოფელს მუშა ხელი თუ არ მოაკლდება, არ მოემატება. არ არის იმედი იმისა, რომ მეორე ხარისხის დარჩენილი მოლაშქრენი და თეთრბილეთიანები აღარ გაიწვიონ, ქვეყნის უკანასკნელი მარჩენლები არ გაჰკრიფონ. საქონლის რეკვიზიცია თვის წესით სწარმოებს. გაზაფხულის ხვნათესვამდე თუმცა ჯერ ადრეა, მაგრამ, იქამდისინ რომ მივაღწიოთ, ხარ-კამეჩი აღარ გვეყოლება, რომ ყანები დავიმუშაოთ! ხოლო ორთქლის მანქანები ჩვენ არა მოგვეპოვება! გასული წლის მცირე მოსავალი მიიწურა, მალე გამოილევა, და მთელი ქვეყანა საერთო და ერთნაირ შიმშილობაში ჩავარდება და შველის იმედიც არსაიდან გვექნება. სიმშილობამ სენი იცის და ორივემ კიდევ ხალხის ამოწყვეტა და გადაშენება!

ყოველ დღეს ქართველი სოფლისთვის ახალ-ახალი ცნობები მოაქვს სოფლის შვილების დაღუპვისა ბრძოლის ველზედ. ყოველი დღე ახალ მსხვერპლს ჰმატებს საქართველოსგან უკვე გაწირულ მსხვერპლთა რიცხვს და ტირილი, გლოვა და მწუხარება თან და თან ედება ქართველ სოფელს, უფრო და უფრო ვრცელდება და საცაა, ოჯახიც არ იქნება ისეთი, რომ ძაძით არ იქმნას შემოსილი!

ყველა ამ გარემოების ზეგავლენით სოფელში საშინელი სასოწარკვეთილება იმკვიდრებს. მდგომარეობა საშინელია, ქვეყანა განსაცდელშია და არავინ რას ჰფიქრობს! ქართველი საზოგადოება, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში მოწინავე პოზიციები უჭირავს და რომელიც ნიადაგ მესვეურობის საპარადო სამოსელშია გახვეული, ადგილიდან არ იძვრის, არავითარ ღონეს ღონობს, რომ ქვეყანას მიეშველოს. და ქვეყნის შველა არც სიტყვებით შეიძლება და არც კეთილის სურვილებით, არამედ მხოლოდ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმით. ნუ თუ ისე დავჩიავდით, რომ მთელს საქართველოში კაცი არ არის, რომ თავს იდოს ეს დიდი საქმე, რომ ქართველი ხალხი და ქართველთა ქვეყანა დაიხსნას შიმშილისა და გადაშენებისაგან! ქვეყანას პური უნდა, პური სჭირია და ჯერ კიდევ, ვიდრე საშუალება არ მოსპობილა ამ პურის შემოტანისა, უნდა შემოვიტანოთ. და როდესაც ჩვენი ეგრედ წოდებული მოწინავე საზოგადოება, როდესაც ჩვენი კერძო საზოგადოებანი და დაწესებულებანი საამისო უნარს ვერ იჩენენ, ასპარეზზედ კერძო მომქმედი პირები უნდა გამოვიდნენ.

თუ სხვებისთვის სურსათისა და სანოვაგის საკითხი გამარჯვებისა და ომის მოგების საკითხია, ჩვენთვის იგივე საკითხი ქართველი ხალხის ფიზიკური შენახვის საკითხია. შეუძლებელია ამ საქმეს თავისი ღირსეული აღმასრულებლები არ აღმოუჩნდნენ, თვით მდგომარეობამ უნდა წარმოშვას ახალი ქართველები! მაშ სად არიან ისინი, რად იგვიანებენ?!

**გ. ვაშაძე.**

## 87 მუხლი

სათათბიროში უკვე დაიწყო ცნობილ 87 მუხლის საკითხის განხილვა.

ათის წლის განმავლობაში ოთხი სათათბირო გამოიცვალა და ეს პირველი მაგალითია, რომ იგი პირისპირ შეხვედროდეს და არსებითად შესდგომოდეს დეტალურ განხილვას იმ საკითხისას, რომლის შემწეობით მთავრობა, თითქმის საპარლამენტო წესის შემოღების დღიდგან საკანონმდებლო დაწესებულებათა მუშაობას სრულებით აბათილებს.

ჯერ კიდევ 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებისას დამყარდა წესი, რომლის ძალით „ვერც ერთს კანონს სათათბიროს დაუდასტურებლად კანონის ძალა არ ექმნებოდა". მთავრობა უკვე იმ თავითვე შეუდგა ისეთის ზომების შემუშავებას, რომელიც მის ძველ უკონტროლო კანონმდებლობის უფლებასაც უცვლელ ჰყოფდა. და ამ საკითხის მრავალ მხრივის განხილვის შემდეგ, რუსეთის კანონთა კრებულს შეემატა ახალი კანონი, რომელიც თითქმის სავსებით ნასესხია უცხოელ სახელმწიფოთა იმ კონსტიტუციონალ აქტებისაგან, რომელნიც მთავრობის დამოუკიდებლობას უზრუნველ ჰყოფენ.

ამ კანონის ძალით იმ დროს, როდესაც სათათბირო დათხოვნილია, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო საჭირო იქმნება, რაიმე ისეთის ზომის მიღება, რომელიც საკანონმდებლო წესით განხილვას მოითხოვს, მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს დამოუკიდებლად წარუდგინოს იგი ხელმწიფე იმპერატორს, ხოლო, როდესაც სათათბიროს მუშაობა გაიხსნება, განსახილველად მას უნდა წარუდგინოს. სათათბიროს უფლება აქვს ეს ზომა მოიწონოს, ან უარჰყოს.

ეს კანონი თითქმის სავსებით გადმოღებულია ავსტრიის კანონთა მე-14 მუხლიდან, რომელიც, თუმცა ამბობს, რომ „რეიხსრატი როცა შეკრებილი არ არის, შესაძლებელია მიღებულ იქმნან მთელ სამინისტროს პასუხისმგებლობის ქვეშ ისეთი ზომები, რომელნიც სხვა შემთხვევაში რეიხსრატის დასტურს ითხოვენ, მაგრამ შემდეგ უსათუოდ მის განსახილველად უნდა იქმნენ წარდგენილნიო.

რუსეთის მთავრობამ გადმოიღო ის კანონი, ავსტრიის კონსტიტუციონალმა პარტიებმა დიდი ბრძოლის შემდეგ რომ მოიპოვეს მონარქის განსაკუთრებულ ბრძანებათა რწმუნების კონსტიტუციონალ პრინციპთან შესათანხმებლად; იგი მოსაწონი და მისაღები იქნებოდა რუსეთის კონსტიტუციის მებრძოლთათვისაც, რუსეთში, ეგრედ წოდებული, დუალისტური წყობილობა რომ იყოს შემოღებული და შეიძლებოდეს პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელ სამინისტროს კონტროლის გაწევა ამ უფლების ხმარებაში, მაგრამ სრული უპასუხისმგებლობა სამინისტროსი და სრულიად უკონტროლო მისი მოქმედება, ისეთ ბოროტად ხმარებასა ჰბადებს ამ კანონისას, რომ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებათა წესიერ მუშაობას შეუძლებლად ხდის.

ამ ათის წლის განმავლობაში ეს კანონი საუკეთესო იარაღი იყო სათათბიროსთან მთავრობის ბრძოლისა და უპასუხისმგებლო მთავრობას მრავალჯერ გამოუყენებია იგი. რუსეთის საკანონმდებლო ისტორიას ისეთი მაგალითიც კი ახსოვს, რომ სათათბირო რამოდენსამე დღით დაითხოვეს მისთვის, რომ მთავრობას მისის დროებითის თავისუფლებით ესარგებლნა და თავისთვის სასურველი კანონი გაეყვანა, ხოლო სათათბიროს კი წვრილ და უმნიშვნელო კანონპროექტებით ტვირთავდნენ, რომ მნიშვნელოვანი საკითხების გარჩევისათვის ჩამოეცლიათ.

87 მუხლის ძალით გაყვანილ კანონპროექტებისაგან მხოლოდ რამოდენიმეა სათათბიროს მიერ განხილული და დანარჩენი კი მის დაუკითხავად ეხლაც ძალაშია სათათბიროს გახსნის ვადის მოახლოვება კიდევ უფრო ანაყოფიერებდა მთავრობის საკანონმდებლო მუშაობას და ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტიც კი, როგორიც არის სამხედრო მოვებაზედ გადასახადის დაწესება, ან და პოლიციის რეფორმის საკითხი, სათათბიროს მუშაობის გახსნამდე მხოლოდ რამოდენიმე დღით ადრე გადასწყდა; და ამრიგად, განსაკუთრებული წესი კანონმდებლობისა, მთავრობამ მუდმივ წესად გადააქცია და მით სათათბიროს საკანონმდებლო ფუნქციები, თუ ფაქტიურად სავსებით არ მოსპო, მაინც ძალიან შეკვეცა.

სათათბიროს თანდათან ართმევდენ მის ძირითად უფლებას—უფლებას კანონმდებლობისას, და ის-კი გასაოცარ უმოქმედობას იჩენდა თავის უფლებათა დაცვაში. მხოლოდ უკანასკნელ სათათბიროს წარსულ სხდომაზედ ძლივს გაისმა მკვეთრი ხმა ხალხის წარმომადგენელთა და ამ თავითვე უკვე უარყო რამოდენიმე 87 მუხლის ძალით გაყვანილი კანონპროექტი, რაიცა უკვე მის ძველ მოდუნებულ მდგომარეობიდან გამოსვლასა ნიშნავს. მის წინაშე ასეთის წესით გატარებული კანონპროექტები მრავლად არის დაგროვებული; ამ კანონპროექტებს გადახედვა და დამჯდარი განხილვა სჭირია, მაგრამ შესძლებს თუ არა, დღევანდელ პირობებში, სათათბირო ესეთ დიდ მუშაობას და მას უკვე ასე აქტიურად გამოსულს, ამუშავებენ თუ არა—ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

**ლ. ჯაფარიძე.**

## ქართული პრესა

გაზეთ „სამშობლოში" დაბეჭდილია **გრიგოლ ვეშაპელის** წერილი შესახებ ქართველთა კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის მოქმედებისა... ავტორი იგონებს იმ სახელმძღვანელო სიტყვას, რომლითაც განმარტა კავშირის დედა-აზრი ექ. თაყაიშვილმა... შემდეგ აღნიშნავს კავშირის გამგეობის ახლანდელ მოქმედებას, რომელიც განისაზღვრება მხოლოდ საპედაგოგიო რეფერატების განხილვითა, და ამბობს:

„ჩვენ კი სხვაგვარ „მამითადს" მოველოდით... გვეგონა, საკულტურო კავშირი საქართველოს ნებისყოფის გამომსახველი ორგანო, შტაბი იქმნებოდა, რათა რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში ჩვენი ერი, როგორც საგრძნობელი საზოგადობრივი და პოლიტიკური ერთეული, წარმოდგენილიყო...ხომ ნათლად ვხედავთ, რომ უფლებით მხოლოდ ის ერს მოსავენ, რომელსაც ეს უფლება თვითონ შეუგნია და ეროვნულ საკითხის გარშემო გაერთიანებულა... ამას იმ პოლონეთის სამაგალითო ბედიც გვიჩვენებს, რომელიც საქართველოსავებ მხოლოდ ასი წელია ცხოვრობდა უფლება ახდილად... კავშირს წინ უდევს მრავალი საქმე, რომლის გარშემო მთელ ქართველ ერის გაერთიანება შეიძლება,—თუნდ ისეთი ლეგალური საკითხი, როგორიცაა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია... და სწორედ ასეთ ქართულ საქმეთ უნდა დასტრიალებდეს კავშირი მთელი თვისი ძალღონით. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ომი დაუსრულებელი რამ არ არის... მას თან სდევს ზავი... საერთო ტაბლაზე-კი, როგორც ნიკო ნიკოლაძემ სთქვა, მხოლოდ იმ ერს ექნება ალაგი, რომელიც ერთობით და დისციპლინით დამარაგებულა... ორმოცი წლის წინად თქმული სიტყვები გვავალებს... ქართველი ერი ზავსაც ისე მოუმზადებლად არ უნდა შეჰხვდეს, როგორც შეხვდა ომს... საკულტურო კავშირის მეთაურთ ჰმართებთ სწორეთ ამ აზრით გაიმსჭვალნენ".

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გუშინდელ ოფიციალ დეპეშათა გადმოცემით, მდ. ოიტუზით მოპირდაპირე იერიშებს განაგრძობს და რუსრუმინელთა ჯარს უკან ახევინებს. მიუხედავათ იმისა, რომ რიმნიკ-სერატის სამხრეთითაც გერმანელნი სასტიკ იერიშებს აწარმოებენ, მოლდავეთის ასპარეზს, სახელდობრ, ოიტუზის მიმართულებას, უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთელ ოპერაციისათვის. გაზვიადებული არ იქნება აქ დაწყებული შეტევა მდ ჟიუზე მომხდარ ოპერაციას შევადაროთ. როგორც იქ, ისევე მდ. ოიტუზზე, მოპირდაპირე განიზრახავს გენერალურათ ეკვეთოს და ამგვარად აიძულებს რუმინელთ და რუსეთის ჯარს მთელი რიგი ღირსშესანიშნავ ადგილებისა დასტოვოს ბ მდ. დნესტრისაკენ დაიხიოს. მდ. ოიტუზით დაწყებული ოპერაცია მოპირდაპირესათვის უზრუნველყოფილია რაიმე ხიფათისაგან. ჩრდილოეთით, ე. ი. მის მარცხენა ფრთას, ჰფარავს კარპატები. აქედან რუს-რუმინელთა ჯარი ვერ შესძლებს ზურგი მოუაროს და მოპირდაპირის ჯარები შიშ ქვეშ ჩააყენოს. ასეთივე მდგომარეობაა დამყარებული ოიტუზის სამხრეთით. მართალია, ჯერაც მოკავშირეთა ხელშია ისეთი ბაზა, როგორც ქ. ფოქშერი, საიდანაც რკინის გზა მიდის რიმნიკისაკენ, მაგრამ თვით გერმანელთაც ზურგს უმაგრებს როგორც მდინარე ბუზეო, ისე ამავე სახელის ქალაქი. მასთანვე ოდნავ მოშორებით აქვს პლოეშ-ბუქარესტის ხაზი, რომელიც რკინის გზებით არის გადაბმული ბულგარეთთან და ავსტრიასთან. მთელი ეს მიდამო მტკიცე პლაცდარმია; აქ გამაგრებულ ჯარს საფრთხე არსაიდან მოელის. ნათქვამიდან ცხადია, რომ ოიტუზით მოქმედება დიდი ხელსაყრელი იქნება გერმანელთათვის.

თუკი მოლდავეთის ასპარეზი დღევანდელ ოპერაციაში რუს-რუმინელთა წინააღმდეგ უმთავრეს როლს ითამაშებს, აუცილებლივ საზოგადოთ ოპერაცია უნდა გაფართოვდეს და მთელ აღმოსავლეთ ბრძოლის ველსაც უნდა მოედოს, მხოლოდ დორნა-ვარტიდან დუნაიამდე გენერალურ ბრძოლის წარმოება ყოვლად შეუძლებელია და უფრო კი შეუძლებელია სწორედ დღევანდელ პირობებში, როდესაც ბრძოლის ველის მოხაზულება ერთის მხრივ, სტრატეგიულ ალაგების შესაფერისი განაწილება მეომართა შორის, მეორე მხრივ, მთელ რუს-რუმინელთა ასპარეზზე ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მდ. ოიტუზით შემოჭრილი მოპირდაპირე საშიშია არა მარტო დიდ ვლახეთში მომქმედ რუს-რუმინელთა ჯარებისათვის. ბრუსილოვის არმიასაც, რომელიც ტყიან კარპატებშია შეჭრილი, ზურგიდგან ემუქრება და ძალაუნებურად აიძულებს შესაფერისი მოქმედება იწყოს მათ წინააღმდეგ. მასთან, რაკი მოპირდაპირე მოლდავეთში გამოვა, გადალახავს მდ. სერეტს და დნესტრისაკენ გალაშქრებას დაიწყებს, უეჭველია, გერმანელნი გალიციიდანაც წვრით მოქმედებას დაიწყებენ. იგი განიზრახავს რკალი შეავიწროვოს და ბრუსილოვის არმია ტყიან კარპატებში მოიმწყვდიოს. სამაგიეროდ, რუსეთის მთავარ შტაბი, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, საპასუხო ოპერაციის განხორციელებას შეუდგება და მაშინ მთელ რუსეთის ასპარეზზე გადამწყვეტ და უდიდეს ბრძოლასთან გვექნება საქმე. ვიმეორებთ, მოლდავეთის ასპარეზით დაწყებული ბრძოლა, შესაძლებელია, დასაწყისი იყოს მთავარ ოპერაციისა რუსეთის წინააღმდეგ.

ყველა ის ცნობა, ვითომ გერმანელთ ჯარები გენ. სარაილის წინააღმდეგ გადაჰყავნდეთ, ან და ჰფიქრობდნენ შვეიცარიის ნეიტრალობის დარღვევას და მათის მიწა წყლით საფრანგეთში შესვლას, ჩვენ გერმანელთა ჩვეულებრივ ხრიკებად მიგვაჩნია. ყველამ უკვე იცის, რომ გერმანელთა აგენტები ამისთანა ყალბ ცნობებს განზრახ ავრცელებენ ხოლმე ნეიტრალურ სახელმწიფოებში, რათა მეომართა სამხედრო შტაბები შეცდომაში შეიყვანონ. ჯერ ბუქარესტის აღების შემდეგ ყველა იმას იძახდა, რომ გერმანელები გენ. სარაილის წინააღმდეგ აგზავნიან სოლუნის მიდამოებში ჯარებსო, მაგრამ დღევანდლამდე ეს ცნობა არ გამართლდა და მაკედონიის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლის მეტს ვერაფერსა ვხედავთ.

**X.**

## ომის დეპეშები

17 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სიდონუვკის მიდამოებში მოპირდაპირემ სცადა ჩვენს თხრილებთან მოახლოება, ბროდის სამხრეთით, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. გუკალოვცეს ტყის მიდამოებში და ს. გრაბნოვცესთან მოპირდაპირე განაგრძობდა ზარბაზნების დაშენას. მოლდავიის საზღვარზე, მდ. ოიტუზის ველში, მტერი შემოტევას განაგრძობდა. სესმეზოს აღმოსავლეთ მიდამოებში რამდენიმე ადგილას ბრძოლაა მაღლობების ხელში ჩასაგდებად.

**კავკასიის ასპარეზზე** არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინიის ასპარეზი.** მდ. კასინის სამხრეთ და დასავლეთ ბრძოლის ხაზზე, რუმინეთის მიჯნებთან და აგრეთვე დასავლეთითაც მოპირდაპირემ იერიშებით დაახევინა რუმინელებს აღმოსავლეთისაკენ ერთ ვერსზე. რიმნიკ-სერატის ჩრდილოეთით 15 ვერსზე, კიოჟდენის და კოსტომირუს მიდამოებში 30 ვერსზე ბრძოლაა. რუმინელებმა აქ მტრის იერიშები მოიგერიეს. მდ. რიმნიკის მარცხენა ნაპირად მყოფი ჩვენი და რუმინელთა ჯარი სახელოვნად იგერიებდა მოპირდაპირის იერიშებს და სამაგიერო იერიშებითაც მიდიოდა. რიმნიკ-სერატიდან რკინის გზიდან ბოლდაუმდე, რიმნიკ-სერატის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოპირდაპირე მედგარის იერიშით უკუვაგდეთ. მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირე ორი დივიზიით გვიტევდა ს. ამარას მიმართულებით, ბულდაუს სამხრეთით 10 ვერსზე. საღამოს მა ბრძოლა დაცხრა. სოფ. ფილიპეშტთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ზარბაზნების სროლაა.

**დობრუჯაში** მთელ ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირე იერიშებით მოდიოდა ჩვენს სადარაჯოებზე.

—

**ლონდონი.** ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. გუშინ და დღეს გერმანელები დროდა-დრო მედგრად უშენდნენ ზარბაზნებს სომას ჩრდილოეთით, ლეზარის მახლობლად და არასის სამხრეთით დაბანაკებულ ინგლისის ჯარს, გიულიუსის მიდამოებში და მასილის დასავლეთით. ჩვენ მარჯვეთ უშენდით ზარბაზნებს ზარბაზნების დასადგმელ გერმანელების სიმაგრეებს.

გერმანელების 1 საფრენი გავანადგურეთ, 5 იძულებული ვყავით დაშვებულიყო. ჩვენ 3 საფრენი დაგვაკლდა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. ვერდენის მიდამოებში ფრანგების მიერ აფეთქებულ ნაღმის ამონათხარი 120 სიგძისა და 40 სიგანისა დავიჭირეთ.

პოდპორუჩ. გიუნებერმა ნიზერის აღმოსავლეთით მტრის საფრენი ჩამოაგდო. მეორე დღეს მეზონეტის სამხრეთით მეორე საფრენი ჩამოაგდო. ერთი საფრენი ომეკურში ჩამოვარდა. ფრანგმა მფრინავებმა ყუმბარები დააყარეს დილინგენს, ტიენვილს, ბრიეს მიდამოებს, რომბახს, ნაგენდანგს და ნეინკირხენის ქარხნებს.

**ოდესა.** გუშინ აუარებელი ლტოლვილი რუმინელი მოვიდა ტულჩიდან, ისაკჩიდან და ჩრდილოეთ დობრუჯის სხვა ადგილებიდან. მათ შორის ტულჩაში მყოფი რუსეთის კონსული ვესტმანი. ლტოლვილთა სიტყვით, ჩრდილოეთ დობრუჯის დაცლას მშვიდობიანად ჩაუვლია. დობრუჯის მიტოვება ბუზეოს დამხობასთანვე გადაუწყვეტიათ. ლტოლვილთა უმეტესობა დუნაიზე გადმოსულა. ტულჩისა და ისაკჩის მიტოვების დღეს, მტრის ზარბაზნის ყუმბარები, თურმე, ქალაქში დაწესებულებათა და კერძო სახლებს ჰხვდებოდა. ქალაქს საფრენები დასტრიალებდა და ყუმბარებს უშენდა ტულჩაში მდგომ გემებს. გემები გამოარიდეს. სურსათის ნაწილი წამოიღეს, დანანარჩენი ცეცხლს მისცეს.

**კიევი.** ტყვეები კვლავ მოჰყავთ. გერმანელ ტყვეთა შორის უმაღლეს და საშუალო განათლების ხალხი ბევრია. სჩანს გერმანელების სათადარიგო ჯარი ჯერ არ დალეულა. მას შემდეგ, რაც ჰინდენბურგის ხელში გადავიდა მთავარსარდლობა, სამხედრო ბეგრის მოსახდენად ყველანი გაუწვევიათ 17—40 წლამდე.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## რუმინეთი.

### რუმინელთა სულისკვეთება

„რ. სლ.“ თანამშრომელი დმ. ობოლენსკი რუმინეთის შთაბეჭდილებას გადმოგვცემს და ამბობს: რუმინეთის მოსახლეობა დღესაც გონზე ვერ მოსულა, თუ რა მოულოდნელი უბედურება დაატყდა მათს სამშობლოს. ხალხი თავზარდაცემულია რუმინეთში სწრაფად წარმოებულ სამხედრო მოქმედებით.

აუარებელი ხალხი მოაწყდა იასს ბრაილოვიდან და გალაციდან.

### დობრუჯის დაცლა

რუმინეთიდან ლტოლვილთა სიტყვით, ბუზეოს დამხობისთანავე რუმინელებმა გადასწყვიტეს ჩრდილოეთ დობრუჯის დაცლა და თანდათანობით და წესიერად გამოერიდნენ. სურსათ-სანოვაგე გამოზიდეს. რის წამოღებაც ვერ მოხერხდა, დასწვეს.

### ნავთიანი ადგილები

ოდესაში ცნობა მიუღიათ, რომ, გერმანელებს საგანგებო ინჟინრები დაუყენებიათ დაპყრობილ ვლახეთში ნავთიან ადგილებზე და ახალ ჭებს სთხრიან, რადგანაც ძველი ჭები რუმინელებს წასვლის წინ ისე ამოუვსიათ, რომ მათი ამოსუფთავება უფრო ძნელია.

### იასაში.

ამჟამად იასაში მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი და წარჩინებული პირია. ძნელია პარლამენტის სრული სხდომა მოახდინონ. ამის გამო მთავრობა პატარ-პატარა ჯგუფებთან თათბირობს პარლამენტის მაგიერ.

## გერმანეთი

### დუნაის საკითხი,

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ში დაბეჭდილია წერილი მდ. დუნაის მნიშვნელობის თაობაზე გერმანეთისთვის. ეს წერილი ზავის წინადადებამდე დაიბეჭდა. წერილში ნათქვამია: მას მერე, რაც ინგლისმა გერმანეთის სანაპიროების გარემოცვა გააძლიერა, მდინ. დუნაი აუცილებლად გერმანეთის ხელში უნდა დარჩეს, რადგანაც ჩვენთვის საჭიროა მოკლე და კარგი გზა მახლობელ აღმოსავლეთისაკენ. დღევანდლამდე შავ ზღვაზე 2 კარგი ნავთსადგური გვქონდა: ვარნა და სტამბოლი. ერთი მათგანი—სტამბოლი—ნეიტრალი ნავთსადგური იყო, ერთიც მტრის ხელში ნამყოფი კონსტანცის უხეირო ნავთსადგური, რომელიც მაკენზენმა უკვე საკმაოდ გამოაკეთა. გერმანეთი ვერასგზით ვერ შეელევა დუნაის და მას მტრის ხელში ვეღარ დასტოვებსო.

### ფოსტა წყალქვეშებით.

გერმანეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა: ამერიკაში გასაგზავნი უბრალო წერილები წყალქვეშა ნავებით გაიგზავნებაო.

## საბერძნეთი

### მოკავშირეთა ზომები.

პეტროგრადში ცნობა მიუღიათ, რომ საბერძნეთის ჯარი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იძვრის. მოკავშირეებს კორინთის ყელთან სადარაჯო გაუმართიათ, რომ მეფის ჯარი პელოპონესიდან თესალონიაში აღარ დააბრუნონ.

### მთავრობის მოხერხება.

„რ. უ.“ შეუტყვია, რომ საბერძნეთის მთავრობა მოკავშირეებს კეკლუცობას ეთამაშება: მათს მოთხოვნილებისამებრ დღისით ჰგზავნის ჯარს პელეპონესიდან თესალონიაში, ღამღამობით კი უკანვე აბრუნებს თურმე.

## წყალქვეშა ნავები

„ბიურო ვერიტას“-ი გადმოგვცემს, რომ ენკენისთვის განმავლობაში ზღვაში დაღუპულა საერთო რიცხვით 151,729 ტონის მზიდველი 100 სავაჭრო გემი (ტონი 62 ფუთია). ამათგან შვეციის ორი გემი და ჰოლანდიის ერთი იალქნიანი გემი ნაღმებს წასწყდომია, დანარჩენი კი გერმანელების წყალქვეშა ნავებს დაუღუპავთ. ყველაზე მეტი ინგლისის გემებია დაღუპული, ესე იგი 57 გემი, რომელთა საერთოდ 83,344 ტონის ზიდვა შეეძლოთ. იტალიისა 1 დაღუპულა, ბელგიისა 1, საფრანგეთისა 3, რუსეთისა 1. მოკავშირეებს წყალქვეშასაგან დაჰღუპვიათ სულ 64 გემი. ნეიტრალ სახელმწიფოთა ზარალი ასეთია: ნორვეგიას დაჰღუპვია 20 გემი, დანიას 4, ესპანიას 2, საბერძნეთს 3 და 1 იალქნიანი, ჰოლანდიას 2, შვეციას 1. სულ ნეიტრალ სახელმწიფოებს 33 გემი დაჰღუპვიათ.

# უკანასკნელი ცნობები

რუსეთის სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა გაცხოველდა. ზოგიერთ მიდამოებში, მიუხედავად ცუდის დარებისა, მოწინააღმდეგე თავგამოდებით იბრძვის და ახალ ჯარს იშველიებს. ლვოვის ცენტრალ გზებზე მოწინააღმდეგე ფხიზლად სდარაჯობს რუსეთის უოველგვარ მოძრაობას, და, თუ რამ შეამჩნია, უმალ ბრძოლას ახტეხს, რათა ამით რუსის ჯარის ყურადღება ერთს ადგილს შეაჩეროს.

—

პეტროგრადის ქალაქის უფროსმა ფუნთუშა პურის და ტკბილ ნამცხვრების გამოცხობა აკრძალა.

—

„უტრ. როს.“ სწერს: ვილსონის ჩარევა ზავის მოლაპარაკებაში და მისი წინადადება ზავის ჩამოსაგდებად, არც ერთ მეომარ სახელმწიფოსთვის საწყენი არ არის. ვილსონი მხოლოდ გამოდის, როგორც შუამდგომელი და აღნიშნავს იმ ობიექტურ საკითხებს, რომელ საკითხებსაც თვითეული მეომარი სახელმწიფო თვით აღიარებსო.

# უმაღლესი ბრძანება

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** უმაღლესის ბრძანებით უმართებულეს სენატს ებრძანა, რომ სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს სხდომები 16 ქრისტეშობისთვეს უნდა შესწყდეს და 1917 წლ. 12 იანვარს განახლდეს.

# დეპეშები

(„საქართველოს“ საკ. კორესპოდენტ.)

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის სახალხო მასწავლებელთა კრებაზე დასასწრებლათ წამომსვლელ მასწავლებელთ (ქალებსა და ვაჟებს) მოსკოვის ქართველთა საზოგადოების გამგეობა თავის ბინაზე (პოვარსკაია, 29) ათს ადგილს უთმობს.

გამგეობის ამხანაგი ზანდუკელი.

—

**თელავი.** ბოროტ გამზრახველნი თავს დაეხსნენ ჟანდარმს და დახჭრეს.

# ახალი ამბავი

## სასახლეში

✦ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა საბჟითალო საქმის ინსპექტორი კავკასიაში ბ. აპანასოვი.

## ქართული დაწესებულებანი

✦ სამღვდელოთა საეპარქიო კრებამ 17 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: 1) საეკლესიო მუზეუმი სიონის ტაძრის გალავნიდან გადატანილ იქმნას ქართულ საისტორ-ეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის გვერდით, ხოლო მის გაერთიანების საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტი დარჩეს. 2) იმ შემწეობაში, რომელ ც სინოდისაგან მიეცა საექსარხოსოს ეპარქიების დასარიგებლად, წილი არ დაუდონ ქალაქისა, რკინის გზისა და ომში გასულ სამღვდელოებას, აგრეთვე ზოგიერთ სოფლის შეძლებულ მღვდლებსაც. 3) ქართულ ენის და ისტორიის უნუგეშო მდგომარეობა საეპარქიო და სასულიერო სასწავლებლებში გაუმჯობესებულ იქმნეს გაკვეთილების რიცხვის გამრავლებით.

✦ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ახალ კლუბის დარბაზში.

✦ ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ ხუთშაბათს, 15 ქრისტეშობისთვეს, გაიმართა გამგეობის კრება. გამგეობამ მიმდინარე სეზონში ორი უმთავრესი მიზანი დაისახა: 1) ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აშენება და 2) ვას. ბარნოვის გაკვეთილების მოწყობა ქართულ მწერლობის ისტორიულად შესასწავლად. გაკვეთილები დაიწყება როგორც კი საზოგადოება შესაფერს ბინას იშოვის (უკვე მიჰმართეს სათ.-აზნაურო გიმნაზიას, მაგრამ უარი მიიღეს „ბინის უქონლობისა გამო“).

## ქალაქის დაწესებულებანი.

ქალაქის გამგეობას თხოვნით მიმართა თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების ადმინისტრაციამ, რომ საქალაქო საავადმყოფოებიდან კურსების საანატომიო თეატრს დაუთმოს 120 უპატრონოდ დარჩენილ მიცვალებულთა გვამი.

## სასულიერო უწყებაში.

✦ ავტოკეფალიის საკითხი. ხუთშაბათს, 15 დეკემბერს, მეფის ნაცვალს წარუდგა საეპარქიო კრებისაგან არჩეული დეპუტაცია, ექსარხოსის წინამძღოლობით. დეპუტაციას დავალებული ჰქონდა, განეცხადებინა უქვეშევრდომილესი გრძნობა და გარდაეცათ მოხსენება საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, რომელსაც ხელს აწერდა თითქმის მთელი კრება თვით ბერძენ-რუს დეპუტატებიანათ. დეპუტაციამ უქვეშევრდომილესი გრძნობანი კი განუცხადა, რაზედაც მეფის მოადგილემ უღრმესი მადლობით გამოისტუმრა; ხოლო ივერიის ეკლესიის შესახებ მოხსენება ჩამოართვა ექსარხოსმა პლატონმა დეპუტაციას, რომელსაც მეფის ნაცვალთან კრინტიც კი არ დაუძრავს უფლება-ახდილ ეკლესიის შესახებ და დღესაც ის დაბეჭდილი მოხსენება ინახება ექსარხოსთან.

## სომეხთა შორის.

✦ სომეხთა ორგანიზაციების შუამდგომლობა, რომ ულუფის ფული გადიდებულ იქმნას გადმოხვეწილთა სასარგებლოდ, მთავრობამ არ შეიწყნარა. ნაცვლად ამისა მთავრობამ წინადადება მისცა ორგანიზაციებს, რომ გადმოხვეწილებს სამუშაო მოუნახონ და თუ მუშაობაზე უარს არ იტყვიან ისინი, მთავრობა ყოველგვარად ხელს შეგიწყობსთო. ამის გამო სომეხთა შორის საგანგებო კომიტეტი შემდგარა შრომის ორგანიზაციისათვის.

## სხვა და სხვა ამბები.

✦ ექიმმა ივ. გომართელმა დაასტამბინა წიგნაკი, „რა არის ერობა“. წიგნაკს გამოსცემს ქართლ-კახეთის თავ.-აზნაურობის საერობო ბიურო.

✦ კონდუქტორთა გასაჭირი. ამიერ კავკასიის რკინის გზის კონდუქტორები ამ ჟამად დიდ განსაცდელში არიან. მთავრობამ რუსეთიდან ჩამოიყვანა 300 მეტი კონდუქტორი ქალი, რომელთაც ადგილს აძლევენ სამოგზაურო მატარებლებში, სამაგიეროთ მამაკაცები უნდა გადაიყვანონ საბარგო მატარებლებზე „ტორმოზის“ კონდუქტორებად. ზოგი-კონდუქტორი, 20—30 წელიწადია მსახურებს, ოჯახობა თბილისში ჰყავს, შვილებს სკოლაში ზრდის. ახლა მათი აყრა, შეუჩვეველ საქმეზე გადაყვანა, და ისიც ამ ზამთარში, როცა თითოეულის საზამთრო ტანისამოსი 20—30 თუმნად დაჯდება, სასტიკი დასჯაა...

✦ კრება. დღეს, 18 ქრისტეშობისთვეს, თელავში უნდა მოხდეს ადგილობრივ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წევრთა კრება. ასარჩევია გამგეობის 2 წევრი ნაცვლად დ. ლუკაშვილისა და დ. ქადაგიძისა, რომელნიც კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის გამგეობაში არიან არჩეულნი.

✦ ხარფუხის საზოგადო კლუბი. დღეს შესდგება სიმებიანი ორკესტრის კონცერტი. შესვლა კონცერტზე უფასოა.

✦ მუშების თხოვნა. 16 ამა თვეს კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთის“ მუშებისა და მოსამსახურეების შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრებს თათბირი ჰქონდათ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. კრებამ აირჩია 3 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაავალა კასის გამგეობასთან ერთად ეშუამდგომლნა საზოგადოების გამგეობის წინაშე მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის ქონებრივად გაუმჯობესებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ. კომისიამ იმ დღესვე წარუდგინა გამგეობას შემდეგი მოთხოვნილება: 1) მოუმატოს თვიურ და დღიურ მუშებს წარსულ გიორგობისთვის 1 რიცხვიდან ეხლანდელ შრომის ფასის 30—40 პროც.; 2) მომატებული სასყიდელი უკუღმა პროპორციით უნდა განაწილდეს იმის კვალობაზე, თუ ვის რამდენი სასყიდელი ეძლევა; 3) მომავალ საშობაო და სააღდგომო დღესასწაულებზე თითოეულ მუშა მოსამსახურეს ჯამაგირის გარეშე მიეცეს, საჩუქრის სახით, 1 თვის ჯამაგირი ანუ შრომის ფასი.

## თელავი

კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის გამგეობამ, ინჟენერ ბ-ნ ლომიძის ხელმძღვანელობით, მოაწყო თელავში ლულა გოგირდის გამოსახდელი ქარხანა. კავშირს ეხლავე აქვს გამოსახდელად თავისი საკუთარი 13.000 ფუთი და 2.000 ფუთიც მოსკოვის სახალხო ბანკის ლულა-გოგირდი. გამოხდას შეუდგება ნააზალწლევს. გამოხდილი გოგირდი ისეთივე იქნება, როგორც არის მარსელის გოგირდი. კავშირმა მოიპოვა სხვა და სხვა ბანკებში 3 მილიონი მანეთის კრედიტი ამხანაგთა ვექსილების დასახურდავებლად. კავშირის კასაში შესანახად მიბარებულია ჯერ-ჯერობით 300 ათას მანეთამდე. კავშირმა მოსკოვის სახალხო ბანკისაგან შეიძინა არხანგელსკში 20.000 ფუთი შაბიამანი. ნახევარი ამ საქონლისა გამოგზავნილია და გზაშია, ხოლო მეორე ნახევარი ამ დღეებში დაიტვირთება და გამოიგზავნება. 11 ამა თვეს კავშირის საბჭოს და სარევიზიო კომისიას შეერთებული კრება ჰქონდა და ითათბირა სურსათ-სანოვაგის შეძენის შესახებ. კრებამ დაადგინა იხმაროს ყოველივე ღონისძიება ფქვილისა და ხორბლის შესაძენად კახეთისათვის.

## ქუთაისი.

— 8 ქრისტეშობისთვეს, თბილისიდან ქუთაისში ჩამოასვენეს და მიწას მიაბარეს ექიმი ევ. ალ. ნანეიშვილი (შვილი მწერალ ალ. ნანეიშვილისა).

— მომხმარებელ საზ. „რეგულიატორს“ განუზრახავს შეიძინოს სიმინდი, რომლითაც უზრუნველ ჰყოფს ქუთაისის გუბერნიას.

—პარასკევს, 23 ქრისტეშობისთვეს ქალაქის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. სხვათა შორის, გალაკტიონ ტაბიძე წაიკითხავს თავის ახალს, ჯერ დაუბეჭდავ ნაწერებს.

## დონის-როსტოვი.

შაბათს, 3 ქრისტეშობისთვეს, გაიმართა სტუდენტების ტრადიციული საღამო. წმინდა შემოსავალი საღამოდან 5000 მანეთს აღემატება. როსტოველ მილიონერ პარამონოვმა ამ საღამოს შესწირა 5000 მანეთი.

— 19 ქრისტეშობისთვეს აქ გაიმართება პირველად ქართული წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება გ. ერისთავის „გაყრა“ და ვ. ბალანჩივაძის „უბედური დღე“. წარმოდგენის დაწყებამდე სტუდენტი მ. ღვამიჩავა წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქართული თეატრის ისტორია და თეატრის მნიშვნელობა“.

## ხაშური.

ხაშურში ორჯერ გაიმართა საღამო ნ. ბარათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ. ერთი გამართა წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ, ხოლო მეორე—დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ქრისტეშობისთვის 10. ამ უკანასკნელზე ნ. ბარათაშვილის ცხოვრება-შემოქმედების შესახებ ვრცელი და ფრიად საინტერესო ლექცია წაიკითხა სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელმა კ. გაგუამ.

— თვეზე მეტია, ხაშურში შაქარი არ იშოვება. პურს ხომ ისეთს საძაგელს აცხობენ, რომ მისი ჭამა შეუძლებელია.—ხაშურის ქუჩებში წვიმის დროს გავლა შეუძლებელი ხდება, ისეთი ტალახი დგება. ამბობენ, ახლად გამწესებული ბოქაული ბ-ნი ჰასანბეგ-ალიბეგოვი აპირებს საჭირო ყურადღება მიაპყროს ხაშურის ამ ნაკლსაო.

## ახალ-სენაკი.

ქრისტეშობისთვის 10 სენაკის დრამატიულ საზოგადოების დასმა დასდგა „თამარ ბატონიშვილი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, დიდძალი საზოგადოებაც დაესწრო. ქრისტეშ. 11 იტალიელ მომღერალმა ქალმა სოლიარიმ ბ-ნ ბერნარდთან ერთად გამართა კონცერტი. შეასრულეს არიები და დუეტები სხვა და სხვა ოპერებიდან. კონცერტმა დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ნინოობისათვის საღამოს გამართვას აპირებს თავის საშუალებათა გასაძლიერებლად.

— მაზრის უფროსმა ბ-ნმა ლევაშოვმა ენერგიული ზომები მიიღო ყაჩაღების ასალაგმავად. ყაჩაღობა-ავაზაკობა დასცხრა. თუ ახლები არ გაჩნდნენ, ძველი ცნობილი ყაჩაღები თითქმის ყველანი ზოგნი დახოცეს, ზოგნიც შეიპყრეს.

# სამღვდელოების კრებაზე

ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრებამ გაანაწილა 2739 მ. 61 კ. იმ კრებულთა შორის, რომელნიც 400 მანეთზე ნაკლებს იღებს ჯამაგირად, ე. ი. 130 მან. ან თანხიდგან დაენიშნათ: 1) თბ. საეპარქიო სასწავლებლის კრებულს 275 მ. 2) ხცისისას 265 მ. 3) ბაკურციხისას—265 მან. 4) ველისციხისას—265 მ. 5) გურჯაანისას 140 მ. 65 კ. 6) ვაჩნაძიანისას 165 მან. 7) არმუთლისას—100 მანეთი. 8) ჰერემისას—100 მანეთი 15 კ. 9) კალაურისას 265 მ. 10) ენისელისას 265 მ. 11) საბუისას 265 მან. 12) ძველ გავაზისას 98 მან. 96 კაპ. 13) ვართაშნისას 100 მან. და 14) კეთუკლისას 80 მანეთი.

საეკლესიო მუზეუმის შესახებ კრებამ დაადგინა: კრება ეთანხმება რა სრულიად საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის გადაწყვეტილებას, საჭიროდ სცნობს სიონის კარმიდამოს გასამშვენიერებლად და თვით ტაძრის მთლიან სახის გამოსაჩენად ამ შენობის აღებას სიონის გალავნიდან. ამ შენობის აღება მიენდოს საეკლესიო მუზეუმის გამგე კომიტეტს. ფული სამღვდელოების სასარგებლოდ იქმნება გადადებული. რადგან სამღვდელოებას ჯერ სახსარი არა აქვს მუზეუმის საკუთარი ბინის ასაგებად, მუზეუმი ჯერ-ჯერობით უნდა დარჩეს სათავად-აზნ. გიმნაზიის ბინაში, საცა სამუზეუმო კომიტეტის გადაწყვეტილებით იქმნა გადატანილი, სათავადაზნაურო კომიტეტის თანხმობით და მის შესანახად სანთლის ქარხნიდან მიეცეს იგივე თანხა, რაც დღემდის ეძლეოდა. რადგან სამღვდელოების ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესება მეტად საეჭვოა, ეთხოვოს საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ. გამგეობას დაუთმოს საეკლესიო მუზეუმს, მომავალ საქართველოს მუზეუმის შენობაში, რომელიც აგებულ იქნება განსვენებულ სარაჯიშვილების სახსრით შესაფერისი ბინა. გარდა ამისა, არჩეულ იქმნას საგანგებო დეპუტაცია, რომელმაც მადლობა უნდა მოახსენოს თ.-აზნაურობის წარმომადგენელთ იმ ყურადღებისათვის, რომელიც ამ თავად-აზნაურობამ აღმოუჩინა საეკლესიო მუზეუმს და თავი შეაფარებინა სათ.-აზნ. გიმნაზიაში. კომისიაში არჩეულ იქმნენ მღ. პ. კარბელაშვილი, გ. მარინაშვილი და ა. ბეგიზოვი.

# სათათბირო

**პეტროგრადი.** სათათბირო 15 ქრისტეშობისთვის სხდომაზე იხილავდა პოლონელ დეპუტატ ლემპიცკის გამორიცხვის საკითხს, მას მოღალატეობას აბრალებენ, რადგანაც ლემპიცკის ვილსონისადმი გაგზნავნილ მოწოდებაზე ხელი მოუწერნია. ლემპიცკის ესარჩლებიან კ. ჩხეიძე, ა. ჩხენკელი და სხვანი. სათათბირომ 158 ხმით 7 წინააღმდეგ ლემპიცკი სათათბიროს დეპუტატთა სიიდან ამოშალა.

# † მიხ. ქაიხოსროს ძე ყიფიანი

ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა კიდევ ერთი ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მოჭირნახულე შვილი, მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი, ამა თვის 10 სოფ. ქვიშხეთში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვლილი.

განსვენებული ყველა ქართულ საქმეში და დაწესებულებაში ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას. ახალგაზდობაში განსვენებული საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობდა, ქართულ ენის მასწავლებლად იყო გორის სამასწავლებლო სემინარიაში ცნობილ სოკოლოვის დირექტორობის დროს. ამავე დროს მეთაურობდა ჩვენში „ნაროდნიკულ“ მოძრაობას, ანუ „ტეტიათა“ ტრფიალობას.

ოთხმოციან წლებში განსვენებულისთვის საპოლიტიკო რწმენათა გამო გადასახლებულ იქმნა სხვებთან ერთად (გ. ზდანოვიჩი, სტ. ჭრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი და სხვ.) ციმბირში.

ციმბირიდან დაბრუნებული ერთ ხანს ქალაქის თვითმართველობაში მსახურებდა, მერე რკინის გზაზე. ამავე დროს ყველა ქართულ დაწესებულებებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

მწერლობაშიაც ღებულობდა განსვენებული მონაწილეობას. სხვათა შორის, მ. ყიფიანი ცნობილია, როგორც მკვლევარი ქართულ გრამატიკისა.

მ. ქ. გარდაიცვალა 70 წლისა.

# ჩემი აზრიც

(ნ. ბარათაშვილის ნაწერების გამოცემის შესახებ).

მეც ვეთანხმები ბ. ი. ფერაძეს („საქ.“ 1 დეკემბერი 1916 წ.), რომ ბარათაშვილის ნაწერები ცალკე უნდა გამოიცეს და იმის შესახები წერილები კიდევ ცალკე. ბარათაშვილი ახლად გამოსული, უცნობი მგოსანი ხომ არ არის, რომ რეკლამა და სახელის გაკეთება სჭირდებოდეს, როგორც ამ ბოლოს დროს ჩვენში ჩვეულებად შემოიღეს ახალგაზდა მწერალთა შესახებ. ბოდიშს ვიხდი პატივცემულ გამომცემლისა და სარედაქციო კომისიის წინაშე, მაგრამ უნდა ალვიარო, რომ ბარათაშვილის ნაწერების კრებულის გამოცემა, გარდა ვრცელ ბიოგრაფიისა კიდევ ხუთი ავტორის წერილი, იმასა ჰგავს, რომ ღირსებით მეტად ძვირფასი, მხოლოდ ზომით პატარა თვალი უშველებელ ოქროს ბეჭედში ჩაასმევინოთ და ისე ატაროთ, რაც მხოლოდ სრული უგემოვნობის დამამტკიცებელი იქნებოდა.

ბ-ნმა ი. გომართელმა სთქვა, ბარათაშვილი-მოხუცი ვერ წარმომიდგენიაო („თ. ტ ცხ.“ № 47). მე კიდევ ვერ წარმომიდგენია ბარათაშვილის ნაწერების კრებული ისეთი დიდი, როგორიც იქნება, თუ მას ვრცელ ბიოგრაფიას და ბ. ბ. ს. გორგაძის, ნ. დუბროვსკის, ი. მეუნარგიას, გრ. რობაქიძის და დ. უზნაძის წერილებიც ზედ დაერთო, როგორც გამოცხადებულია. ეს ბარათაშვილი კი არა, დასახელებულ მწერალთა ნაწერების კრებული იქნება იმის ლექსებისა და წერილების თითქო მხოლოდ საილლუსტრაციოდ დამატებით. გარდა ამისა, როგორც ბ. ი. ფერაძეც ამბობს, არამც თუ მარტო ამათი, საჭიროა ყველა სხვა ჩვენ მწერლების წერილებიც მოიძებნოს ბარათაშვილის შესახებ და გამოიცეს, მხოლოდ გამოიცეს ცალკე კრებულად. მაგალითად, მე მახსოვს, გაზეთ „ივერიაში“ მოთავსებული წერილი ბ. ვეზირიშვილისა, რომელსაც ახლაც სიამოვნებით წავიკითხავდი. აღარას ვამბობ ილ. ჭავჭავაძის შესანიშნავ წერილზე. ყველა ამ წერილს, ქრონოლოგიურად დაბეჭდილს, დიდი მნიშვნელობა ექნება. ამავე წიგნში შეიძლება დაიბეჭდოს აგრეთვე ჩვენი მგოსნების ლექსები და მოგონებანი ჩვენთა მწერალ-მოღვაწეთა, ბარათაშვილის ხსოვნის მიმართ მიძღვნილნი. თვითონ ბარათაშვილის ნაწერების კრებულს კი უნდა წაუძღვაროს მხოლოდ კარგად შედგენილი ბიოგრაფია, ისიც არა მეტად გაჭიანურებული და სავსე ათას უმნიშვნელო და თან საეჭვო ცნობებით, და ჩაერთოს შესაფერი სურათები და საჭირო განმარტებანი. სრულიად მეტია, მაგალითად, ბარათაშვილის ბიოგრაფიაში იმისთანა ცნობის მოყვანა, ბ. ი. მეუნარგიას რომ აქვს ფეხის ადგილის შესახებ. ვინ არ იცის, რომ საზოგადოდ მგოსანი მხოლოდ მაშინ გარდიქმნება შემოქმედად, როდესაც მარტოდ რჩება თავისს ფიქრებთან და ხელს არავინ უშლის. ბარათაშვილიც, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ შემოქმედებდა, როდესაც მარტო რჩებოდა, მტკვრის პირად იქნებოდა ეს, მთაწმინდაზე, სასაფლაოზე, თუ ლოგინში, როცა ძილი გაუტყდებოდა, და სხვაგან. უადგილოდ მიმაჩნია აგრეთვე ბარათაშვილის ბიოგრაფებისაგან ხაზის გასმა, რომ ის არაფრით განირჩეოდა ჩვეულებრივ ცხოვრებაში სხვა მის თანამედროვეთაგან; გართული იყო ფუქსავატ ცხოვრებაში, ეინტერესებოდა წვრილმანი და უმნიშვნელო ამბები, ქეიფობდა, მეჭორეობდა, ქალებს ეარშიყებოდა და სხვა. მაგალითად, ბ. ქ. რ. თავისს საბიოგრაფიო წერილში („სახ. ფურ.“ № 728) რამდენჯერმე უბრუნდება ამ საგანს და ბოლოს დაასკვნის, რომ ორი ბარათაშვილი იყო: ერთი მოქეიფე და მეჭორე, ქალების მოარშიყე და „მეორე სევდით აღსავსე, მტირალი ქართლის ბედისა, უკმაყოფილო მსოფლიოსი, სულით ობოლი და ნაზად მგრძნობიარე. არა, ბატონებო, ბარათაშვილი მუდამ და ყოველგან ერთი იყო: დიდებული მგოსანი, პატიოსანი ადამიანი და ღირსეული მამულიშვილი—მოქალაქე. მხოლოდ, რასაკვირველია, მთვარეზე კი არა ცხოვრობდა, არც მეუდაბნოედ და განდეგილად გამდგარა, რომ ყოველივე კავშირი გაეწყვიტა მაშინდელ ქართველ საზოგადოებასთან და, თუ ეს სასაყვედუროა, ისიც უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს ბაირონს, რომ უკანასკნელივით რამე დიდებულ საქმეს კი არ შესწირა თავი, ჯერ „экспедиція суда и расправа“-ს სტოლის უფროსობით და დაკმაყოფილდა და შემდეგ ნახიჩევანსა და განჯაში პოლიციელად ჩაიკლა თავი?..

**დუტუ მეგრელი.**

# ქალთა მონასტერი

ძველად ყოველი წმინდა თავშესაფარი ერისთვის საჭიროც იყო და აუცილებელიც. ყოველი მონასტერი, ყოველი ტაძარი იმავე დროს ერის სალაროდ ითვლებოდა. ძვირფასი განძეულობა, თვალმარგალიტი და ამაზე არა ნაკლებ ძვირფასი საუნჯე—საღმრთო წერილის წიგნები, მამათა ცხოვრებანი, მოძღვრებანი, მატიანები, ყველა ერთობ იმარხებოდა ამ წმიდა სავანეთა საფარველსა ქვეშე და აქედან ლაოკოონის მდგომარეობაში მყოფს ჩვენს ერს ევლინებოდა რიგრიგად, ათას მოსეულ გასაჭირის მოსისინე გველთა ისრების დასაგლეჯად. ამიტომ იყო, რომ ყოველს ქართველს მიუხაროდა მონასტრისკენ, თუ სამარადისო აღსაკვეცელად არა, ქონების შესაწირავად მაინც, რომ ერის დამცველ უწმიდეს საკუთხევლისთვის თავისი წვლილით ხელი შეეწყო.

„Omuia mutantur!“ ამბობდენ ძველად. შეიცვალა მონასტერთა ბედიც. დღეს დღეობით იშვიათია დედა-მიწაზე ისეთი ერი, რომელიც მშობელ ქვეყნის მხსნელად მონასტერს აღია

რებდეს. თვით ესპანეთიც კი, ეს ინკვიზიციის მთავარი ბუდე, აღარ სცნობს მონასტერს ამგვარ ფაქტორად. აკადემიები და უნივერსიტეტები მათზე გაცილებით მეტს გვშველიან საზოგადოებრივ ქიმიის შესწავლაში, გვეხმარებიან ფართო შეგნებაში, ანდა იმის გასაგებად, თუ რა ნაწილისაგან შესდგება ერი, რომელსაც ჰსურს თავისი თავი დაიცვას, იხსნას სრული მოსპობისაგან, როგორ ებრძოლოს ცხოვრებას, როგორ გავიდეს ბარიკადებზე ანდა სანავთით ხელში საზოგადო ბრძოლის კოცონის დასანთებად, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს. მონასტერი და მონაზნობა ეხლა კერძო ინდივიდთა სავანეს წარმოადგენს, პირადი ბედნიერების საძიებლად სულის სიღრმეში ჩასახედ, თავისებურ სიტკბოების საგემებლად.

ამ მარტივ ჭეშმარიტებას თურმე განმარტება სჭირია. ამ საშინელ დროს, როდესაც თორნიკენი უნდა ათონის მონასტრიდან ეშვებოდნენ და ხმალს აელვარებდნენ მზის სხივებზე მტერთან საბრძოლველად, ჩვენში საჭიროდ სცნობენ ახალი მონასტრის აგებას, ბრძოლის ველიდან მთაში გაჭრას. არ იფიქროთ დამაარსებელთ არ ჰქონდეთ ჭეშმარიტი მიზანი, ან და შეშლილი იყვნენ. არ იფიქროთ, რომ ესენი შინაგან სიცარიელედან უმიზნო ცხოვრების ისრებს მოაფრქევდნენ. რა ბრძანებაა! ესენი მოქმედებენ სრული შეგნებით, ესენიც თურმე განიცდიან ტანჯვას, ასეთი ყოფნის აუტანელობას. მაგრამ ორიგინალობა იმაში გამოიხატება, რომ ზოგად საშინელების შემგნებელთ ჩვენი ეროვნულ ტანჯვის შესამსუბუქებლად ხსნა ქალთა მონასტრის აგებაში დაუნახავთ, ისიც ისეთი მონასტრისა, სადაც „დაბედშავებულ და უვიც ქართველთა გასანათლებლად“ მოწვეული იქნებიან რუსი მონოზნები! არა, არ შემიძლიან მარტოდ მე დავსტკბე ამ მწარე ბედნიერებით. ასეთი ეგოიზმი დიდი ცოდვა იქნებოდა. ხანდისხან ჯანსაღი ხარხარი საჭიროა ფართო საზოგადოებისთვის. ამიტომ ვაქვეყნებ კიდეც ამ ჟამად ჩემმიერ შენახულს ისტორიულს საბუთს, საიდანაც ჩვენი მკითხველი დაინახავს, თუ როგორ ირჯებიან ეს ალმაშენებელნი, მსოფლიო ტრაგედიის ცეცხლმოდებულ დეკორაციათა გადასარჩენად. საბუთი ვრცელია, ეს საბუთია მათი უქვეშევრდომილესი თხოვნა. მოგვყავს შემოკლებით.

„...დღეს მთელი იმპერია სისხლში სცურავს ბარბაროს-გერმანელთა და ოსმალებთან ბრძოლაში, რომელნიც ჰფიქრობენ კადნიერი ლაშქრობით დაამარცხონ სახელოვანი რუსეთის არმია და სწრაფად დაიპყრონ იმპერიის საუკეთესო ნაწილები: პოლონეთი და კავკასია. რუსეთი და კავკასია თქვენი უდიდებულესობის მთლიან სახელმწიფოს წარმოადგენს. რუსეთის ჯარები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძვიან და მტრის გვამებზე სახელოვნად მიაბიჯებენ, მაშინ როდესაც ქართველები არა ნაკლებ სიმამაცეს იჩენენ, რათა ძველი ცოდვანი გამოისყიდონ, რომ სხვებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მოძრაობაში რევოლიუციის დროს.

„...ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ცოტაოდენი უიღბლობა ეწეროს ჩვენს ბრძოლას, მაშინ საქართველო დედა-მიწის პირიდან აღიგვება და სოდომ გომორად გარდიქცევა ვერაგ მტრის მიერ.

„...თქვენი უდიდებულესობის საბედნიერო მოგზაურობის აღსანიშნავად კავკასიაში, სამშობლოსა და საქართველოს სახსენელად, ჩვენ: (აქ სახელი და გვარია მთხოვნელებისა) გვსურს აღვადგინოთ ჩვენს მამულში, თბილისის გუბერნიაში, კახეთში (აქ მაზრა და სოფელია დასახელებული), ძველის ძველი ეკლესიის ნანგრევები და ავაშენოთ მონასტერი, რომ შიგ დავაბინაოთ რუს მონაზონნი ჩვენდა განსანათლებლად და მოწამებრივის სიკვდილით ღვთით მისვენებულ ალექსანდრე მეორის სახელის აღსანიშნავად, წმიდათა ალექსანდრეს და ნინოს სახელობაზე...

„ამ პროექტის შესრულებას უკვე შევუდექით. მონასტრის გასახსნელად ვწირავთ ათ დესეტინა მდიდარს ტყეს, ნავთიან ადგილებს, ძველ ეკლესიას, ყოველ საჭირო მასალას თვითვე მოვზიდავთ ჩვენს მამულიდან, ამასთანავე ვკისრულობთ მონასტრის ყოველგვარს ხარჯსა და მზრუნველობას.

„ჩვენი მამული სამი მაზრის შუაა. გამოკვლევამ უკვე დაამტკიცა მისი სიმდიდრე მინერალ და სამკურნალო წყაროებითა და უტევი ტყით, სუფთა, ნეტად შემრგო ჰავით...

„მთელი ეს ადგილი მართლმადიდებელთა მიერ არის დასახლებული, მაგრამ ქალთა მონასტერი კი არ მოიპოვება. მცხოვრებთ ფრიად სჭირიათ ასეთი მონასტერი მართლმადიდებლობისა და კულტურის განსამტკიცებლად“...

ქვეყნად ბევრია ორიგინალური ფანტაზიორი, მაგრამ ჩვენებურ აღმშენებელთა ამგვარი ფანტაზია, ვფიქრობთ, მსოფლიოში პირველ პრიზს აიღებს. ასეთი იდილიური პოლიტიკა საშუალო საუკუნის მეოცნებე განდეგილთაც არ დაეზმანებოდათ, რომ საძილისპირო ლოცვათა საგალობლად უცხო ქვეყნის მხევალნი ქერუბიმებად მოეწვიათ. დიდია ზრუნვა მათი და ჩვენი ერიც დიდს მადლობას უცხადებს ასეთი საბედნიერო ნექტარით სავსე ფიალის მოწოდებისთვის! ჩვენდა საბედნიეროდ ეს თხოვნაც შესაფერისად იქმნა დაჯილდოვებული თუნდა იმ მხრივ, რომ უყურადღებოდ დარჩა...

დ. კასრაძე.

## წერილი ოზურგეთიდან

(ჩინებული საქმე)

ოზურგეთის მახლობლად, შემოქმედის საზოგადოებაში, სახელდობრ, სოფელ გონების-კარს 1906 წელს მაშინდელმა იქაურმა მღვდელმა მამა სოლომონ ანდღულაძემ თავის სამრევლო სკოლასთან მოაწყო საფეიქრო. საგანგებოდ მოწვეული ინტრუქტორის ხელმძღვანელობით ფეიქრობას სწავლობდნენ სკოლის მოწაფე ქალები. საქსოვმა მთავრობისა და საზოგადოების ყურადღება ადრე მიიპყრო. საჭირო შეიქმნა მისი გაფართოება. ამ მიზნით იმავე მღვდლის მეოხებით, საქსოვი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტმა და საფეიქროს შემწეობა დაუნიშნა. საქსოვი სკოლას მოაშორეს, 1911 წ. გადმოიტანეს ოზურგეთში და მისი მოვლა ჩააბარეს იმავე მამა ანდღულაძეს. ცხადია, რაკი საქსოვს სპეციალი სახე მიეცა, მას მეტი ნაყოფიც მოჰქონდა. ამ, შედარებით, მცირე ხნის განმავლობაში, 25 მეტმა ქალმა შეისწავლა ქსოვა (მოსწავლე ქალები იმერეთიდანაც იყვნენ). ზოგმა მათგანმა ადგილი იშოვნა და თვიურად 30—50 მან. იღებს. ზოგმა კი შესძლო თავისთვის მოეწყო სახელოსნო—საფეიქრო, ქსოვენ და მოწაფე ქალებსაც ასწავლიან ფეიქრობას. მაგალითად, სოფიო ჟღენტის ასულს და ქსენია ჩხატარაიშვილის ასულს დაბა ჩოხატაურში აქვთ საკუთარი საფეიქრო და 15 მოწაფე ქალი ჰყავთ. სოფ. ბახვში ქსენია ინწკირველის ასულსა და მარიამ ჩხაიძის ასულსაც აქვთ საფეიქრო და ჰყავთ 20 მოწაფე. ფრიად სასიამოვნო იქნება ახალგაზრდა მუშა ქალებს ადგილობრივი საზოგადოება დახმარებას არ მოაკლებდეს. გურული ქალები თუ მუდამ შრომა-გარჯილობაში იქნებიან გართულნი თავსაც და ქვეყანასაც მით ბევრს ზე ძენენ. არავისათვის დასამალია, რომ გურულ ქალების დიდი უმეტესობა წერა-კითხვის მცოდნეა და საქმეს, მეტადრე ოჯახურ გარჯილობას გაურბიან... მოდაზე ჩაცმა-დახურვა და დროს ტარება-ფლანგვა კი ძლიერ უყვართ.

მაგრამ ამაში მარტო ახალგაზრდა ქალები არ არიან გასამტყუნარნი, არამედ მათი მშობლები და საზოგადოებაა, თავიანთ ასულებს ნამდვილ საქმეს რომ არ აჩვევენ. ამ მხრივ ფრიად სასიამოვნოა ოზურგეთში საფეიქრო „მაქვა“-ს დაარსება. „მაქვა“ (მაქო) დაარსდა ოზურგეთში ამ ერთ თვის წინად. ის დაარსა ამხანაგობამ. იმის მიზანია: ფეიქარ-ქალებს საქმეც გაუჩინოს და თვითონაც ხეირი ნახოს. ადგილობრივის აბრეშუმის და უცხოურ ძაფიდან ქსოვილები ამზადოს და ჰყიდოს. ამხანაგობას წმინდა ვაჭრული ხასიათი აქვს და ამხანაგობა ნდობაზეა დამყარებული. ჯერ-ჯერობით მხოლოდ 15 წევრი ჰყავს და სანამ საქმე სასურველ დონეზე არ დადგება, არ გამაგრდება, მანამ არც ახალ წევრებს ღებულობენ. ამხანაგობის დამაარსებელნი არიან: შერ. დ. ცერცვაძე, დიომ. მაქ. ვასაძე, ანდრ. ზ. თალაკვაძე, ირ. დ. ლომინაძე, კონსტან. ს. ტუღუში, ვლ. დ. აბაშმაძე, ვას. ალ. გორგაძე, ევტ. მიხ. თალაკვაძე, დომ. ზ. თალაკვაძე, ბეს. ფ. კალანდაძე, მღვ. სოლ. ანდღულაძე, ილ. გ. ლომაძე, რუბ. ლ. ჩხაიძე, ელ. ივ. ანთელიძე და ვილჰემ მათ. ორნაფ (ფეიქარ-ინსტრუქტორი). ამათში უმეტესობა ვაჭრებია. საწევრო გადასახადი ასი მანეთია. ამხანაგობას ჯერჯერობით უდგას 5 საფეიქრო დგამი, რომელზედაც მუშაობს 10 ქალი, მათში: ელენა ჩავლეშვილის ასული, ნინა ჰეფხოძისა (ქვრივი), მარიამ შათირიშვილის ასული, ეკატერინე მახარაძის ასული, ანნა შავიშვილის ასული, ანნა დოლიძის ასული და ნინა სალუქვაძის ასული ოსტატი-ფეიქრებია. მუშაობენ ნაჭრობით, და თითეული ქალი დღეში 1 მ. 40 კ.—2 მანეთამდე ღებულობს. ამხანაგობას აქვს შეძენილი რამდენიმე ფუთი ძაფი, რომელიც ტამოჟნიდან ჯერ შეუძენია ებრაელს, ებრაელისგან ბერძენს. ხოლო ბერძნისგან ამხანაგობას. ცხადია, პირდაპირ ქარხნიდან რომ შეეძინათ ძაფი, ნაკლებად დაჯდებოდა, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ფართალი, დღევანდელ ბაზართან შედარებით, მაინც ძლიერ იაფათ ჯდება. ფართლეული მნახველს ძლიერ მოეწონება— მკვიდრი და ლამაზი ნახელავია*)... მომავალი წლიდან ამხანაგობას გადაწყვეტილი აქვს შეიძინოს აბრეშუმის პარკი, ამოახვიოს და აბრეშუმის ქსოვილები დაამზადოს. ამხანაგობა ფიქრობს გურულ მეურნეთა სხვა ნაწარმოები, გარდა აბრეშუმის პარკისა, თხილი, ხილი და სხვა შეიძინოს და ბაზარი მოუპოვოს.

ფრიად სასურველი იქნება, კავკასიის შინამრეწველობის კომიტეტი ქ. ოზურგეთში გახსნიდეს საფეიქრო ხელსაწყო იარაღ-მანქანების საწყობს და მით გურიაში ფეიქრობის გავრცელებას ხელს შეუწყობდეს.

ამ. წულაძე.

## დაბა-სოფლები

**სიღნაღი.** საამური ამინდები შესცვალა ნისლიანმა და ცივმა ტაროსმა. ენკენისთვის აქეთ რიგიანი წვიმა არ ღირსებია ახლო-მახლო მდებარე მინდვრებს. კვლავ ამ დროს ალაზნის ველი შავად იყო ხოლმე გადახნული, ეხლა კი აქა-იქ თუ მოსჩანს სადმე მოხნული. ან კი ვილაა მხვნელი! სოფლები გზირ-მოხელეების და მოხუც კაცების ანაბარაა დატოვებული.

მშვენიერი თამბაქოები ჰქონდათ წელს სიღნაღის ახლო-მახლო მდებარე სოფლელებს, თვითეულ გლეხს ორიოსამიდან ათ-თორმეტ დესეტინამდე ჰქონდათ დათესილი. ბევრს გაზაფხულზე სეტყვამ გაუნადგურა ჩირთილები და მეორედ დათესეს. მერე ვინ აკეთებდა ამას? 10—12 წლის ბავშვები; თვითეული მათგანი თვეში 80—100 მანეთს ღებულობდა ხელფასს. კარგ ფასებშიაც მიდის ამ ჟამად თუთუნი. ფუთი თამბაქო ხუთ თუმანში იყიდება. ფასი დღითი-დღე მატულობს. ავისნენ ფულით მეთამბაქოე გლეხები. წინა წლებში თამბაქოს მიმდევარნი გლეხნი თუ ვალში იყვნენ ხოლმე ჩაფლულნი, დღეს ათას თუმანს—ფულს არ ეძახიან.

ერთი წლის წინად მეთამბაქოენი პირდაღებულნი ელოდნენ ხოლმე თბილისიდგან ბოზარჯიანცის „პრიკაზჩიკს“ „გაქეცულს სერგუას“, რომელიც, როგორც ტარბი კალიას, ისე მოევლინებოდა ხოლმე და როგორც უნდოდა ისე სწყვეტავდა თამბაქოს მაზნდას. ან კი ვინ ჰყავდა მეტოქე. ბეჩავ გაუნათლებელ საწყალი მეთამბაქოე გლეხები „გაქეცულს“... კახეთის რკინის გზამ დღეს მოსკოვიდან და პეტროგრადიდან მოიყვანა მუშტარი თამბაქოსი; თუ ერთ-ორ წელიწადს ასე იმატა თამბაქოს ფასებმა, მაშინ ჩვენის სოფლის გლეხები თავიანთს ნაწარმოებს თვით გაუჩენენ ბაზარს.

თანდათან იღვიძებს ხალხი: მისდევენ სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს, ხსნიან წვრილ კრედიტთა ამხანაგობებს, კოოპერატიულ დუქნებს, სიღნაღის „მეგობრის დუქნის“ მიბაძვით, მხოლოდ უფრო მკვიდრ ნიადაგზე.

იანე მიდთრაშვილი.

**ს. ბიკამი.** ერთს საშინელებას წარმოადგენენ სოფლის მართველნი ამ ჟამად. სოფელში ვის ოჯახშიაც შეიგულებენ 16—17 წლის ვაჟიშვილს, გამოცხადდებიან იმათ კარზე და უბრძანებენ: „შენი შვილი უნდა წარმოადგინო, ამა და ამ დღეს იბარებენ სალდათშიო“. შეშინებული მშობლებიც წინააღმდეგობას ვერ უწევენ და ევედრებიან: ოღონდ დაგვიტოვეთ ცოტა ხნობით და ეს თქვენი გასამრჯელოვო და ჩაუდებენ ხელში, რაც მოეხერხებათ. ისინიც მოიღებენ თავიანთ მოწყალებას და რამდენისამე ხნით თავს დაანებებენ. როცა შემოაკლდებათ ფული, კიდევ მოადგებიან. ასე უდიერათ იყვლიფება ისედაც გაღვლეპილი და დაგლახავებული ხალხი. მაგრამ ვინ არის პატრონი ან გულშემატკივარი!

ისედაც თავბრუდასხმული სოფელი სულ გადარიეს ახალჯურის წინასწარმეტყველებმა. დღითი-დღე სულ ახალ-ახალ ღმერთს ესაუბრებიან და თავისი ამბით სოფელს უმეტესათ ასხმენ თავზარს. ეს ამოდენა სოფლის დედაკაცები ამ ცივ ზამთრის დღეებში, მუხლამდინ ტალახში, ფეხშიშველა, დადიან კარი-კარს „დიდებაზე“ და დაკეტილ ეკლესიას უვლიან გარს.

მხედარი.

**ს. გოდბისხევი** (სიღნაღის მაზრა). აქაურმა შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ მიიღო დიდძალი ხორბალი, რომელსაც ამ დღეებში დაურიგებენ გლეხებს ხელმისაწდომ ფასებში. კოოპერატიულმა დუქანმა „ნდობა“-მ მიიღო თბილისიდან ყოველნაირი წვრილმანი საქონელი. ამავე დუქანმა შეიძინა თაფლი, რომელსაც ჰყიდის 85 კ. გირვანქას. სოფელში კი კერძო პირები თაფლს მამეთად ჰყიდიან გირვანქას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სოფელი ძალიან დიდია. ის შეიცავს თითქმის 1200 კომლზე მეტს. კოოპერატიული დუქანი „ნდობა“ კი ვერ აკმაყოფილებს სოფლის მოთხოვნილებას. ბევრს უხდება სიარული 3—4 ვერსის სიშორიდან. საჭიროა ერთერთ უბანში გაიხსნას ზემოხსენებული დუქნის განყოფილება. ვაჭრების თავგასულობას არ უჩანს საზღვარი. ყოველნაირ სანოვაგეს ჰყიდიან იმ ფასებში, რომელიც მათთვის სასურველია. ყურადღების მიმქცევი არავინ არის.

ელიოზ ხუციშვილი.

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1). ადამ ივანეს ძემ ფორაქიშვილმა: ა) ზეთიანი ფერადით ნახატი დავით ზაქარიას ძის სარაჯიშვილის დიდი სურათი, ბ) დ. ზ. სარაჯიშვილის ბიუსტი, მარმარილოსი, ნიკოლაძის მიერ გამოკვეთილი, გ) დ. ზ. სარაჯიშვილის სურათები, ფოტოგრაფიული, ბავშობისასა და სხვა და სხვა დროს გადაღებული (ყველა ერთ ჩარჩოშია მოთავსებული), დ) აკაკის სურათი, ფოტოგრაფია—ზედ პოეტის ხელით წარწერილი აქვს ლექსი ეკატერინე ივ. სარაჯიშვილის მიმართ, ე) ილია ჭავჭავაძის სურათი, ფოტოგრაფია—ზედ პოეტის ხელით წარწერილი აქვს ლექსი ეკატერინე ივ. სარაჯიშვილის მიმართ, ვ) ზაქარია სარაჯიშვილის (დავითის მამა) სურათი, ზეთიანი ფერადით ნახატი, ზ) ივანე ფორაქიშვილის (ეკატერინეს მამა) სურათი ზეთიანი ფერადით ნახატი, ჱ) თავდადახურული ქალის (შემომწირველის დედის) სურათი, ზეთიანი ფერადით ნახატი, თ) დ. ზ. სარაჯიშვილის პროფესორის ვაგნერის სურათი, ზეთიანი ფერადით ნახატი, ი) ამავე პროფესორის სურათი კარანდაშით ნახატი, ია) სოლომონ სარაჯიშვილის სურათი, კარანდაშით ნახატი, იბ) რეპინის „ზაპოროჟცი“-ს ასლი. მ. თოიძის მიერ ზეთიანი ფერადებით გადმოღებული და იგ) ხოდოროვიჩის გაკეთებული მეურმე ურმით ბრინჯაოდან ჩამოსხმული.

2. თ. სახოკიამ: ა) საბუხრე მეგრელ მოლოზნის მიერ ოქრომკედით ნაქარგი და ბ) ორი ხელნაწერი წიგნი.

3. მღვდელ-მონაზონმა ალექსიმ (შუშანიამ): ორი ლორფინი (ერთი ხვთისმშობლის სახით და მეორე რომელიღაც წმინდანის სახით)

4. მიხეილ რომანოზის ძემ ქურციკიძემ: ალექსანდრე მაკედონელის ოთხი.

5. შალვა ჩიქოვანმა ძველი შავი ფული.

6. ალექსანდრე ჯიბაშვილმა: ა) ხალი ალთქმა.

7. ნ. ქურდაძემ (ს. ალი): ორი შავი ფული (გადმოგვცა ლადო გუნიაშვილმა) ნაპოვნია ციხის ნანგრევებში.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქციამ მიიღო ბოდბის ხევის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისაგან ოცი მანეთი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის სასარგებლოთ.

რედაქციამვე მიიღო კონსტანტინე ივანეს ძე ბაქრაძისაგან ხუთი მანეთი ჭაბუკის სასარგებლოთ.

*) მამა სოლ. ანდღულაძემ რედაქციაში შემოიტანა ოზურგეთის საფეიქრო „მაქო“-ს ქსოვილები, საუკეთესოდ ნაკეთებია.

რედ.

რედაქტორ-გამომცემელი
ხარლამპი ფანჩულიძე


მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, ხილ. თავართქილაძეს. (ფ.)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის:
სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისაა.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები.

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისამდე—3 მ. პირველ ენკენისთვემდე 2 მან.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნას“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მიმართულებით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგი




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

— სუნი და გემოც საამური აქვს —

წლ.

ვინც იტანჯება ათაშანგით
(სიფილისით)
ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება
პრეპარატი
„IODOSTARIN“ (იოდოსტარინ)

მთელი კურსის ფასი 30 მ., 1/2 კურსის ფასი 16 მ., 1/4 კურსის ფასი 8 მ. 50.
ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტან, თბილისი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

სპრინცოვკა პროფესორ ტარნოვსკისა
(შესაშხაპუნებელი)
და სუსპენზორიები, მივიღეთ

I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა ბითუმად და წვრილად. ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.

მიმართეთ შესაკვეთად: რ. ი. შმიდტს, თბილისი, თხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.

ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს გაეგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძამბელოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისგან

სტამბა „ს...“ კაკაბაძისა, გოგოლის შესახვევი № 4.